ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4124523

ნომერი: AR1621877

თარიღი : 08.08.2018

გაცემის თარიღი : 17.08.2018

გაცნობის თარიღი : 21.08.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 105;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ დვალიშვილი პ/ნ 01021001119
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 35 ბ. 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გაცნობებთ, რომ 01.09.2017წ. №3487712 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სადაც დაფიქსირებულია გაფრთხილება: 3. AR1524847 განაცხადზე ესკიზის ველში ატვირთული დასაბუთების ალბომი წარმოადგენს აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის საფუძველს. აღნიშნული დასაბუთების საფუძველზე გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. N105-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსების მიზნით და გამოიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს #1-1898 ბრძანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდაპირველად საჭიროა შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს #1-1898 ბრძანებაში. საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში აღნიშნული ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

წინამდებარე განცხადება დარჩებაგანუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანო ნით
დადგენილ ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.